27/02/2025

MES 0 25 0000210672

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:36 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

- ეკატერინე ბაკარაძე - პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი;
- თამარ რაზმაძე - ასისტენტი, ხარისხის კულტურის კომიტეტის მენეჯერი;
- ვახტანგ ზაალიშვილი - პროფესორი, იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია:

- ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის რექტორის მოადგილე;
- თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ირაკლი უჩაძე - აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
- ნიკოლოზ ხაჩიძე - აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი;
- ჯამბულ ზალოშვილი - სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- დავით სიხარულიძე (I);
- თამაზ უზუნაშვილი (I);
- ნათია ნოღაიდელი (I);
- ნინო ქიმერიძე (I);
- ნინო ფარსადანიშვილი (II);
- ირმა ქურდაძე (II);
- მარიამ მაჭავარიანი (II).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. „სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; Bachelor of Business Administration;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; Master of Business Administration (MBA)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120.

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი; Master of Healthcare Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120.

პროგრამა №5
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში; Executive Master of Business Administration (EMBA) in Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 75.

პროგრამა №6
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: დოქტორანტურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი; Doctor of Business Administration;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 60.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, კრისტინა ტონისონი (Kristiina Tõnnisson), აკრედიტაციის სხდომას არ ესწრებოდა. წერილის სახით გამოგზავნილი მისი პოზიცია პროგრამებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს თარჯიმანმა, ლაშა მაჭარაშვილმა, გააცნო. მისი თქმით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (NVU) კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები, რომლებიც მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირებას, სამშენებლო ინჟინერიის მენეჯმენტს, ჯანდაცვის მენეჯმენტს და ინოვაციებს, აჩვენებს კარგად სტრუქტურირებულ და ყოვლისმომცველ მიდგომას უმაღლესი განათლებისადმი. დასკვნაში ხაზგასმულია უნივერსიტეტის მზადყოფნა, პროგრამები დაუკავშიროს ინდუსტრიის მოთხოვნებს, დააინტეგრიროს პრაქტიკული კომპონენტები და გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მათი მკაფიო შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. პროგრამები აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებას მათი სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მოიცავს როგორც თეორიულ საფუძვლებს, ისე პრაქტიკულ გამოყენებას. კურსში ქეფსთოუნ პროექტებისა და სტაჟირების ჩართვა კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამების აქცენტს გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. წერილში აღნიშნული იყო, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა აჩვენა მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ გუნდს შორის, რაც კარგად კოორდინებულ აკადემიურ გარემოს არსებობას ადასტურებს. თუმცა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა თვითშეფასების მოკლე ანგარიში, გამოთხოვილი იყო დამატებითი დოკუმენტაცია. აღნიშნული მიუთითებდა გამჭვირვალობისა და მომზადების მიმართულებით, გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც დასკვნაში გამოიკვეთა, არის კვლევის მეთოდოლოგიების გაძლიერება ყველა პროგრამაში. ანგარიშში სასურველად მიიჩნევა კვლევის მეთოდების სწავლების სტრუქტურირებული მიდგომის დანერგვა, რაც უზრუნველჰყოფს სტუდენტების მიერ როგორც თვისებრივი, ისე

რაოდენობრივი კვლევის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში რაოდენობრივი კვლევის კომპონენტების ფორმალიზება, განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში, რათა გაძლიერდეს სტუდენტთა ანალიტიკური უნარები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა ეხება აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების მკაფიო წესების საჭიროებას. სტანდარტიზებული პოლიტიკის ჩამოყალიბება დაეხმარება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური და პრაქტიკული ასპექტების უკეთ მართვაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა სასურველია გააძლიეროს ინდუსტრიასთან პარტნიორობა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი რეალური შემთხვევების შესწავლის შესაძლებლობა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები, ზოგადად, აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს, რამდენიმე მიმართულებით განვითარებაა საჭირო. მაგალითად, აღმასრულებელი MBA პროგრამაში შესატანია კორექტივები დაშვების წინაპირობების ნაწილში, რათა იგი ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოვიდეს. ასევე, საჭიროა რამდენიმე პროგრამის სასწავლო მასალების განახლება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უახლეს კვლევებსა და ინდუსტრიის განვითარების უახლეს ტენდენციებზე. ჯამში, NVU-ის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები სთავაზობს მყარ საფუძველს აკადემიური და პროფესიული ზრდისათვის. დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციების შესრულებით, უნივერსიტეტს შეუძლია კიდევ უფრო გააუმჯობესოს პროგრამების ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ბაკარაძემ ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა ზოგიერთ საკითხზე, რაზედაც დაწესებულებას განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. ასევე, ისაუბრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულების მიდგომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გოჩა თუთბერიძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ფორმულირება გადასახედია პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კომიტეტის მიერ, რადგან ძალიან ვრცლად არის მოცემული სწავლის შედეგში, რაც შემდგომ მის შეფასებას ძალიან გაართულებს. მაშასადამე, სწავლის შედეგები უნდა ფორმულირდეს მოკლედ და კონკრეტულად, რათა შემდგომ შედეგების შეფასებისას არ შეიქმნას პრობლემა. გოჩა თუთბერიძემ „ფინანსურ მენეჯმენტთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის შესაბამის დონეს არ პასუხობდა. მაგალითად, „თეორიის განვითარების ბიზნესის ადმინისტრირების“ სასწავლო კურსის სილაბუსი როგორც იყო შექმნილი, ისე უნდა იყოს გაკეთებული აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსიც, რადგან დოქტორანტურაზე ტრადიციული სახელმძღვანელოებით სწავლება არაფრის მომცემია. აქ ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ. „თეორიის განვითარების ბიზნესის ადმინისტრირების“ სასწავლო კურსის სილაბუსი, მიუხედავად იმისა, რომ აგებულია სტატიებზე, მათი რაოდენობა მცირეა, თუმცა ამ ფორმატით უნდა იქნეს აგებული „ფინანსური მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სილაბუსი.
„აღმასრულებელი მენეჯმენტის“ პროგრამაზე გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ განსხვავება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არ არის. მისი აზრით, კარგად არ არის გააზრებული „EMBA“-ს დანიშნულება და მიზანი. საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ეს არის საშუალო ან უმაღლესი დონის მენეჯმენტის გარკვეული უნარების განვითარებისათვის და ძირითადად მათსავე კომპანიებში არსებული გამოწვევების გადაწყვეტის გზებისა და მოდელების შემუშავების მიზნით შექმნილი. რაც შეეხება „კორპორაციული ფინანსების“

საბაკალავრო პროგრამას, აღნიშნა, რომ ეს შინაარსის მიხედვით უფრო არის „მენეჯერული აღრიცხვა“, ვიდრე „კორპორაციული ფინანსები“. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ეს ორი კურსი ისწავლება სხვადასხვა სახელმძღვანელოთი. „მენეჯერული აღრიცხვა“ არის „ბუღალტრული აღრიცხვის“ ნაწილი. ფინანსური და ბუღალტრული ხედვა სრულად განსხვავებულია. ბუღალტრები აფასებენ წარსულს, ხოლო ფინანსისტები მომავალს. გადასახედია სილაბუსი, რადგან ორი სასწავლო კურსი, ფაქტობრივად, ერთი და იგივე შინაარსის არის. სამაგისტრო პროგრამაზე არსებული კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის კურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ როგორც „MBA”- პროგრამაზე, ისე „EMBA“-პროგრამაზე იკითხებოდა ეს კურსი. მისი შინაარსი და ლიტერატურა, არ შეესაბამება საფეხურის დონეს.
დაწესებულების ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელმა, ეკატერინე ბაკარაძემ, განმარტა, რომ „აღმასრულებელი ბიზნესის მენეჯმენტის“ პროგრამები არის ახალი შემუშავებული. შესაბამისად, დაწესებულებამ გაანალიზა სხვადასხვა პროგრამის „Benchmarking“-ი და დაადასტურა, რომ ეს იყო „MBA“-ის შემოკლებული ვერსია. საკმაოდ დიდი დავა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კურსი დასრულებულიყო თუ არა სამაგისტრო ნაშრომით, თუმცა არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში დაწესებულება მაქსიმალურად შეეცადა, რომ ეს ასე გაეკეთებინა. ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ ღირებული იყო მათთვის ის შენიშვნები, რომლებიც გაიცა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობდა მაქსიმალურად მორგებოდა დარგობრივ მახასიათებელს, რამაც გამოიწვია ლაკონურობის დარღვევა. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით დაწესებულება აუცილებლად გაივლის კონსულტაციას აკადემიურ პერსონალთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ „ფინანსური მენეჯმენტის” სადოქტორო პროგრამის ჩამონათვალს უნდა დაემატოს ლიდერობა, ეთიკა, მენეჯმენტი, ინოვაცია და მდგრადობა. არ შეიძლება დოქტორანტურაზე სწავლება მხოლოდ სახელმძღვანელოთი. ის აგებული უნდა იყოს უახლეს კვლევებსა და სტატიებზე. სამაგისტრო ნაშრომი 60 კრედიტიდან 24-კრედიტზეა დაყვანილი, რაც მიზანშეწონილი არ არის. „სამოქალაქო ინჟინერიის“ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში მარკეტინგის საფუძვლები და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, რადგან დარგობრივი სტანდარტით არის გათვალისწინებული. მისი თქმით, ასევე უმჯობესი იქნება მოკლე კურსების ჩართვა „სტრატეგიული მენეჯმენტის“ პროგრამაში, რადგან ის საკითხები, რომლებიც მოცემულია, ყველაფერს ზოგად ჭრილში ვერ ფარავს.
ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ შენიშვნებს და იზიარებს რჩევებს. კონცენტრაციებთან დაკავშირებით კი უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ უნიფიცირებული სისტემა შესთავაზოს სტუდენტს შესაბამის კვალიფიკაციაზე მარტივად გასასვლელად. მისი თქმით, პროგრამის ამგვარი განაწილება არის პროგრამის ხელმძღვანელების ხედვა. აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციურ დონეზეა აყვანილი უნივერსიტეტში. შესაბამისად, არის ის მოცემულობა, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს. დაწესებულება ორიენტირებულია განვითარებაზე და აუცილებლად გაითვალისწინებს საბჭოს რჩევებსა და რეკომენდაციებს. კონცენტრაციების მიზანი არის ის, რომ სტუდენტს დაწესებულების ორგანიზაციებში გავლის შედეგად იღებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს. ეს არის ამ პროგრამის ერთ-ერთი დიდი ღირსება, რადგან სწავლის პროცესში ღრმავდება უშუალოდ ის კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც სტუდენტს აქვს არჩეული პერსონალური გადაწყვეტილებით.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემა გადასახედია, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებითი დიდი ხანია ცვლილება შესულია განათლების მინისტრის N3 ბრძანებაში. summa cum laude და magna cum laude შეფასების სისტემით აღარ ფასდება სამაგისტრო ნაშრომი. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს და

დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი სასწავლო კურსები, კრედიტები, კერძოდ, მოცემულია, რომ ბიზნესის ადმინისტრირება არის 72 კრედიტი 138-დან, 66 კრედიტია სამოქალაქო ინჟინერია, 36 კრედიტია სპეციალობის არჩევითი კომპონენტი, აქედან 18 არის ბიზნესის ადმინისტრირებიდან და 18 სამოქალაქო ინჟინერიიდან. მას აინტერესებდა, როგორ გროვდებოდა ის აუცილებელი, მინიმუმ, 120 კრედიტი, რომლებიც კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას იძლეოდა. ასევე თუ ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით ენიჭება კურსდამთავრებულს ხარისხი, სადაც უფრო მეტი კრედიტია დათმობილი, ვიდრე სამოქალაქო ინჟინერიისთვის, მაშინ რატომ იყო ის 0413-ის ქუდქვეშ.

ექსპერტმა თამაზ უზუნაშვილმა, განმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირებაში ინჟინერიას ცოტა კრედიტი ეთმობა და 120 კრედიტი ვერ გროვდება, მაგრამ თვითონ ინჟინერიის მენეჯმენტი კვალიფიკაციის ჩარჩოში არ არსებობს. ამიტომ კვალიფიკაცია ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების. საბოლოო ჯამში ეს არის ინჟინერიის მენეჯმენტი და არა ბიზნესის ადმინისტრირება, რომელიც დღესდღეობით ძალიან გავრცელებულია და დარგის სპეციალისტებსაც მოითხოვს. ექსპერტთა შეფასებით, კურსში მენეჯმენტის მოცულობა არის სავსებით საკმარისი, ასევე ინჟინერიის კურსებშიც არის წარმოდგენილი მენეჯმენტის საკითხები.

ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს უფლება, რომ გაიაროს ცენტრთან კონსულტაცია. კონსულტაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტს ჰქონდა ცენტრის მხარდაჭერა მათ მიერ მოფიქრებულ მიდგომებთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეთავაზებული კონცენტრაციების პროგრამის სტრუქტურაში გაერთიანებით, დაწესებულებამ შეჯერდა იმ კვალიფიკაციაზე, კვალიფიკაციაზე, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა.

ცენტრის წარმომდგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა, განმარტა, რომ ცენტრს დაწესებულებები ხშირად მომართავენ კონსულტაციისთვის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ცენტრი კანონმდებლობის ფარგლებში განუმარტავს მათ კანონმდებლობის შესაძლებლობებს და მიდგომებს კონტექსტის შესაბამისად. პროგრამის შინაარსის გააზრებასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით რაიმე რჩევის ან რეკომენდაციის მიცემა სცილდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, თუკი ცენტრის მიერ გაცემული იყო კონსულტაციები პროგრამასთან დაკავშირებით, ის არ იქნებოდა კავშირში პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის განვითარებასთან.

ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ კითხვა დაისვა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებით რეკომენდაცია გაცემული იყო და დაწესებულებამ გაიზიარა ეს რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მესამე სემესტრში ისწავლება "ბიზნესის კვლევის მეთოდები და სტატისტიკა". როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ოპტიმალური მიმდევრობა არის შემდეგი: ჯერ მონაცემებთან დაკავშირებით ცოდნის მიღება, რასაც სტატისტიკა იძლევა და შემდეგ უკვე კვლევის მეთოდების მიწოდება, რომელიც სტუდენტს დაეხმარება კვლევით პროცესში, ამ მონაცემების სწორად ანალიზისა და გამოყენების საქმეში. სავალდებულო სასწავლო კურსია - „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, ხოლო არჩევითი „ბიზნესის მონაცემთა ანალიზი და კვლევა“. არჩევითი კურსის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი სწავლობს იმავე საკითხებს, რომლებიც კვლევის მეთოდებში არის მოცემული, თუმცა განსხვავებული ლიტერატურით. მისი აზრით, მეორე სასწავლო კურსში აჯობებდა, რომ ისეთი საკითხი იყოს გაღრმავებული, რომელსაც ამ სასწავლო კურსის დანარჩენი საკითხები ემსახურება ცოდნის მიღებას. მაგალითად, პროგრამული დამუშავება და ვიზუალიზაცია.

ამდენად, უმჯობესი იქნება, თუ მეორე სასწავლო კურსში კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად ყოფილიყო ასახული, ხოლო მეორე კურსში გამოკვეთილი უნდა ყოფილიყო ვიზუალიზაცია დამუშავების შესაძლებლობები, რაც მხოლოდ ნაწილობრივ არის ამ კურსში ასახული.

მესამე საკითხი უკავშირდება შრომის ბაზრის კვლევას, რომელშიც ცხადად არის წარმოდგენილი ის ტენდენციები, რომლებიც პრაქტიკაში არსებობს. ასევე უნარების თაობაზე ანალიზის დამატებაც კარგი იქნებოდა კვლევის განვითარებისთვის. ამრიგად, შრომის ბაზრის ანალიზს კიდევ უფრო ეფექტურსა და რაციონალურს გახდის ჩანართი იმის შესახებ, თუ რა უნარები დომინირებს დღეს მოთხოვნის თვალსაზრისით დამსაქმებლის მხრიდან.

ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ დიმიტრი ჯაფარიძის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს იზიარებდა უნივერსიტეტი. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის სიღრმისეულად ჩაშლილი საკითხები. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის კვლევას ჩაატარებდა ამასთან დაკავშირებით და უფრო სიღრმისეულს გახდიდა მას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას და ექსპერტებს. მისი თქმით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, 0788 დეტალურ სფეროში არის სწავლის სფერო, "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი". მას აინტერესებდა, იყო თუ არა მსჯელობა ამ პროგრამის აღნიშნული კვალიფიკაციის მისადაგების თაობაზე, რადგან ეროვნული კვალიფიკაციის საბჭო განსაზღვრავს, რომ 120 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა უნდა იყოს დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებით მოცემული, რაც პროგრამის სტრუქტურაში არ დასტურდება.

ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ ამ საკითხზე არ ყოფილა ექსპერტებთან მსჯელობა. დაწესებულებას ცენტრთან ჰქონდა კომუნიკაცია მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის პროფილური საგნები ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამაში ისე, როგორიც ახლა არის. კრედიტებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს კომუნიკაცია ცენტრთან არ ჰქონია. მშენებლობის ინჟინერიის კურსში არის 72 კრედიტი და დამატებით 30 კრედიტი, რაც ჯამში 102 კრედიტია. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ ორი მიმართულება დააინტეგრირა და მიიღო აღნიშნული მიმართულება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის კურსში 66 კრედიტი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მშენებლობის დაგეგმვა და ხარჯთაღრიცხვა, შემაჯამებელი პროექტი და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მენეჯმენტი. ყოველივე ეს ფაქტობრივად, მენეჯმენტის მიმართულებაა და შეიძლება კრედიტების გადაადგილება, რადგან დარგობრივ მახასიათებელთან მოვიდეს შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებით. მისი თქმით, მასში წერია, რომ ცხრილში არსებული სამიზნე ნიშნულები მოქმედებს იმ დათქმით, რომ მონიტორინგი გაეწევა სულ მცირე 10 სტუდენტისაგან შემდგარ ჯგუფს მონიტორინგს დაქვემდებარებულ კომპონენტებში. მას აინტერესებდა, შერჩევითი წესით ხდებოდა თუ არა მონიტორინგი სწავსტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მიზნით.

ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ დაწესებულება საბაკალავრო პროგრამებზე დაახლოებით 50 სტუდენტს იღებს. მაქსიმუმ 20 სტუდენტს სამაგისტრო, ხოლო 10 სტუდენტს სადოქტორო პრგორამაზე. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს ისეთი პროგრამები, რომლებზეც შედარებით ცოტა სტუდენტია და გამოყენებულია ჩარჩო-დოკუმენტი, თუმცა პროგრამის ამოქმედების შემდეგ უნივერსიტეტს ექნება სხვადასხვა მექანიზმი, რომლებსაც გამოიყენებენ. პროგრამის ამოქმედების შემდეგ დაწესებულება გადადგამს ნაბიჯებს ცვლილებებისკენ და თითოეულ კურსზე სტუდენტების რაოდენობის მიხედვით მოარგებს დოკუმენტს და ამის მიხედვით შეაფასებს.

თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას გეოდეზიის სილაბუსთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ერთი სალექციო კვირითა და 146 დამოუკიდებელი სამუშაო საათით როგორ აღწევდა სტუდენტი სწავლის შედეგების მიღწევას საინჟინრო საგნებში. გარდა ამისა, მოცემულია თემა - „საველე პრაქტიკა“, თუმცა სწავლების მეთოდებში ინფორმაცია ამის შესახებ

არ არის. ასევე სამშენებლო კონსტრუქციებში 1 საათია განსაზღვრული სალექციო, ხოლო 1 საათი პრაქტიკული და არის ისეთი სწავლის შედეგი მაგალითად, დამოუკიდებლად აპროექტებს ფოლადისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებს კონსტრუქციული სისტემის ზედამხედველობით, რომლის მიღწევა აღნიშნული საკონტაქტო საათებით შეუძლებელია. ასევე მას აინტერესებდა, თუ სად მიმდინარეობდა პრაქტიკული სამუშაოები, რომლებიც სილაბუსით იყო გათვალისწინებული.
ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს არაერთი მემორანდუმი. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს საკუთარი კომპანია სახელწოდებით - „New Vision Infrastructure". ასევე მემურანდუმები აქვთ ისეთ კომპანიასთან, როგორიც არის „Skyline corporation". ასევე სხვა კომპანიებთან გაფორმებულია დაახლოებით 15-მდე სხვადასხვა მემორანდუმი, რომლებიც პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში ძალაში შევა.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, აღნიშნა, რომ ბევრ სილაბუსში მასალა არის მოძველებული. ამის შესახებ მოცემულია დასკვნაში, თუმცა არ რჩევებსა და რეკომენდაციებში არ არის ასახული. კარგი იქნება თუ დაწესებულება ამას გაითვალისწინებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს 3.2 კომპონენტთან დაკავშირებით. დასკვნაში აღნიშნულია რომ, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა არ იქნა წარმოდგენილი არც თავდაპირველი წარდგენისას და არც ადგილზე ვიზიტის დროს. ანალოგიურია 4.2 კომპონენტშიც, წარმოდგენილი დოკუმენტები, მტკიცებულებები არ შეიცავს ინფორმაციას სამაგისტორო/სადოქტორო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა იმისათვის, რომ სათანადოდ შეფასდეს ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების კვალიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ეს ორი სტანდარტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისი" სტანდარტთან.
საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებდა, თუ რამ გამოიწვია საბოლოო შეფასება.
ექსპერტმა ნათია ნოღაიდელმა განმარტა, რომ ექსპერტების ხელთ არსებული ინფორმაციით ყველა აკადემიური თანამდებობის მქონე პირს ჰქონდა მაგისტრანტების ხელმძღვანელობის უფლება და, აქედან გამომდინარე, შეფასდა სტანდარტი, როგორც „სრულად შესაბამისობაში". მან აღნიშნა, რომ 4.2 სტანდარტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემული იყო დასკვნის საბოლოო ვერსიაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 17:50

პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე.

პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 4: "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

პროგრამა 5: "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 6: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის“ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მენეჯმენტი;

საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 261.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სახელმწიფო რესურსების მართვა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: რესურსების მართვის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 122.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
საერთაშორისო ექსპერტი, სტეფან ვეიტი (Stefan Veith), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელდა 2024 წლის 3 და 4 ოქტომბერს. მან მადლობა გადაუხადა ქართველ ექსპერტებს იმ შრომისთვის, რაც ამ პროცესში გასწიეს. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა 2 პროგრამა "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სახით. პროგრამები აკრედიტებული იყო. შესაბამისად, მათთვის ეს პროცესი რეაკრედიტაციას წარმოადგენდა. ჯამში პროგრამების მიმართ გაიცა 7 რეკომენდაცია და 3 რჩევა. ექსპერტების გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დაწესებულებამ არ გაიზირა გაცემული რეკომენდაციები. პირველი მიგნება, რაც ექსპერტებს ჰქონდათ იყო ის, რომ გარკვეული საკითხები, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში, დამაბნეველი იყო. მაგალითად, კრედიტების გადანაწილების საკითხი ზოგიერთ კურსში არ იყო გამჭვირვალე და ასევე კვალიფიკაციის საკითხი განსხვავებული იყო დოკუმენტში მოცემული გარკვეული საკითხებისგან. შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით ერთი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ თავისუფალი კომპონენტის კურსები ყოფილიყო არჩევითი და არა სავალდებულო. დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში

ჰქონდა გარკვეული ნორმატიული დასაბუთება, თუმცა ამ ნაწილში ექსპერტთა მოსაზრება რჩება იგივე, რომ თავისუფალი კომპონენტი უნდა იყოს არჩევითი და არა სავალდებულო.
მეორე საკითხი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, იყო ის, რომ ექსპერტთა აზრით, კურსები მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. მაგალითად, პროგრამაში მოცემულია "ზოგადი ფსიქოლოგიის" კურსი. ექსპერტი ეთანხმება იმას, რომ სამხედრო პირს კარგად უნდა ესმოდეს ფსიქოლოგია, მაგრამ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირებაში და, შესაბამისად, კურსები მეტად კონცენტრირებული უნდა იყოს ამ მიმართულებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში სტუდენტისათვის შეიძლება შეთავაზებული იყოს ბიზნესისა და მარკეტინგის ფსიქოლოგია და ა.შ. ხოლო თუ რაიმე კონკრეტული მიმართულებები არის სამხედრო განათლებისთვის რელევანტური, ეს შეიძლება, სხვა მხრივ იყოს პოზიციონირებული.
მესამე ძირითადი საკითხი, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტმა ხაზი გაუსვა, არის ის, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მოთხოვნილია 1 პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში და მას მიაჩნია, რომ ეს არის მკაცრი მოთხოვნა, რადგან, პირველ რიგში, თავად გამოქვეყნების პროცესი მოითხოვს დიდ დროს, შესაბამისად, ეს არ უნდა იყოს სავალდებულო მაგისტრანტისთვის და თუ ისინი არიან საკმარისად კვალიფიციურები, მაშინ საკუთარი სურვილით უნდა აქვეყნებდნენ სტატიებს.
ამრიგად, ორივე პროგრამა არის კარგი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება საჭიროა ამ პროგრამების განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
აკადემიის რექტორის მოადგილემ, ზურაბ ზერეკიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ორივე პროგრამაზე 4 სტანდარტიდან 3-ში „სრული შესაბამისობა" მიიღო, ხოლო პირველი სტანდარტები ორივე პროგრამაზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაში". მისი თქმით, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჯერ კიდევ 2021 წელს იყო „საჯარო მმართველობის მაგისტრი". ასევე აღნიშნული გაწერილია თვითშეფასების დოკუმენტში, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ინგლისური ვერსიის დოკუმენტში შეცდომით არის ნათარგმნი და მოცემულია „სახელმწიფო რესურსების მართვის" მაგისტრი, რაც შესასწორებელი და გასათვალისწინებელია. ზურაბ ზერეკიძემ განაცხადა, რომ არ იყო სიმართლე ის ფაქტი, რომ ინსტიტუცია არცერთ რეკომენდაციას არ იზიარებდა. პირიქით, თავდაცვის აკადემია ყოველთვის ორიენტირებულია განვითარებაზე და ითვალისწინებდა გაცემულ რეკომენდაციებს. მან დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობდა გარკვეული სახის ტექნიკური პრობლემები კრედიტებთან დაკავშირებით. მისი თქმით, მე-5, მე-6 და მე-7 რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებულია და ჩასწორებული, რაც დოკუმენტშიც არის ასახული. პირველი რეკომენდაციის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია, რომ საბაკალავრო დონეზე პროგრამა გაძლიერდეს შუალედური კურსებით. დარგობრივი მახასიათებლებით გათვლისწინებული შუალედური კურსები საბაკალავრო დონეზე არსებობდა. დაწესებულება ამზადებდა სამხედრო მოხელეებსაც, რომლებიც მომავალში, გარდა იმისა, რომ იქნებიან მენეჯერები, შეძლებენ საზოგადოების გარკვეული მასების მართვას და ამ მართვაში აუცილებელია ისეთი საგნების შესწავლა, როგორებიცაა „ფსიქოლოგია" და „ფილოსოფია". სწორედ აკადემიური მიზნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარეა ეს საგნები სავალდებულო საგნებად მოცემული. ის, რაც შემოთავაზებულია ექსპერტების მიერ, რომ სასწავლო კურსი გაძლიერდეს „ბიზნეს-ეთიკისა" და „ბიზნეს-ფსიქოლოგიის" საგნებით, არ არის მიზანშეწონილი, რადგან პროგრამა არის არა ბიზნესის ადმინისტრირების, არამედ მენეჯმენტის და აქედან გამომდინარეობს დაწესებულების პოზიციაც.
მეორე რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკისა და მართვის ადმინისტრირების მიმართულებით. დაწესებულება ეკონომიკის მიმართულებას სტუდენტს ასწვლის შემდეგი საგნებით: „ფირმის ეკონომიკა", რომელიც ფარავს

მიკროეკონომიკას, „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა“, რომელიც ფარავს მაკროეკონომიკას და „საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული ანალიზი“, რომელიც ფარავს მეზოეკონომიკას. აქედან გამომდინარე, ინსტიტუცია ფიქრობს, რომ ამით ის სრულად ფარავს ეკონომიკის მიმართულებებს. რაც შეეხება საჯარო ადმინისტრაციის მიმართულებას, პროგრამაზე ისწავლება ისეთი საგნები, როგორებიცაა: სტრატეგიული ლიდერიზმი; სტრატეგიული კომუნიკაცია; დაგეგვმა, პროგრამირება და ბიუჯეტირება, რომლებშიც საკმაოდ აქტიურად განიხილება HR-ის მიმართულება და სტრატეგიული სწავლება, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო რესურსების მართვაზე. ის საჯარო მმართველობის მიმართულებით არის საკმაოდ საინტერესო. ამ ორი გარემოებიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს დარგის მოთხოვნებს. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ეს რეკომენდაცია გადავა რჩევებში. თავისუფალ კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აპელირებდა N69-ით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორზე, რომლის მეექვსე მუხლში არის მოცემული, რომ თავისუფალი კომპონენტის საგნები შეიძლება იყოს როგორც არჩევითი, ისე სავალდებულო. სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფს შეცდომით მიეწოდა. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობის მინიმალურ მოთხოვნებს, სანამ მაგისტრანტი მივა სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე, სტუდენტმა უნდა გამოაქვეყნოს ერთი სტატია რეფერირებად ჟურნალებში და მონაწილეობა მიიღოს ერთ კონფერენციაში, ეს მხოლოდ აძლიერებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს დაწესებულების მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ ყველა გარე შეფასება არის პოზიტიური, რადგან ისინი მომდინარეობს საკმაოდ ავტორიტეტული დაწესებულებებიდან. პროგრამა გავდა ინსტიტუციების მიერ შეთავაზებულ პროგრამებს, რაც მისასალმებელია. სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე „ლოჯისტიკა“ უნდა ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსებში გათვალისწინებული. მაგალითად, „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“ იყო რთული სასწავლო კურსი, რომელიც შეიძლება ჩანაცვლდეს „ფინანსური აღრიცხვითა და აუდიტით“, რომელიც მეტად სასარგებლო იქნება სტუდენტისთვის. „მენეჯერული ეკონომიკის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამაგისტრო მიმართულებით ის სტანდარტული სასწავლო კურსია, რომელიც ამ პროგრამაში უნდა იყოს მოაზრებული. „ფირმის ეკონომიკა“ თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე უმჯობესი იქნება თუ სტუდენტისთვის შეთავაზებული იქნება როგორც არჩევით სასწავლო კურსად.

გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, პროგრამაში რომელ სასწავლო კურსების დამატებაზე იყო საუბარი. საერთაშორისო ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა (Stefan Veith) განმარტა, რომ რადგან საუბარი იყო სახელმწიფო რესურების მენეჯმენტზე, ამიტომაც იყო მოაზრებული ეკონომიკის ნაწილი. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამაზე მოცემული იყო ზოგადი სასწავლო კურსები. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ უკეთესი იქნებოდა, მეტი სპეციფიკის მიცემა. მაგალითად, ზოგადი ფსიქოლოგიის ნაცვლად ბიზნეს-ფსიქოლოგია ან ზოგადი ეთიკის ნაცვლად ბიზნეს-ეთიკა ყოფილიყო.

აკადემიის რექტორის მოადგილემ, ზურაბ ზერეკიძემ, განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არ წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას. ეს არის უშუალოდ მენეჯმენტის პროგრამა. შეთავაზებული საგნები სტუდენტებისთვის არაფრის მომცემი იქნება. ამ სასწავლო კურსების დამატებით სტუდენტს ვერ განუვითარდება მენჯერეული უნარები. საგნები, რომლებიც მოცემულია პროგრამაში, სტუდენტს უვითარებს ზოგად ტრანსფორმაციულ ცოდნას.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დაკვნაში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „აკადემიის მსმენელისთვის სავალდებულოა

სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენა“. მას აინტერესებდა, აქ სამაგისტრო ნაშრომზე თუ სტატიის გამოქვეყნებაზე იყო საუბარი. ზურაბ ზერეკიძემ განმარტა, რომ აქ არ არის საუბარი სამაგისტრო ნაშრომზე. საკითხი ეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გაყვანის წინაპირობას. სტუდენტმა სამი სემესტრის განმავლობაში უნდა მოახერხოს სემესტრის განმავლობაში ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება და ერთი კონფერენციის ჩატარება.

ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მესამე სემესტრში არ უნდა ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები. ამ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს ოთხი სემესტრის გადაჭარბება. ეს პრობლემა გამოვლინდება მხოლოდ დაკვირვების პროცესში. შესაბამისად, ამ მიმართულებით რეკომენდაცია ყურადსაღები და გასათვალისწინებელია.

ზურაბ ზერეკიძემ განმარტა, რომ ინსტიტუციას აქვს გამოცდილება კვლევის მეთოდების სწავლებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საგნის მესამე სემესტრში გადატანის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ, როდესაც მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე იწყებს მუშაობას, სწორედ მაშინ ხდება ამ საგნის დეტალური ცოდნის საჭიროება. პუბლიკაციის პროცესი ხორციელდება დაწესებულების დაკვირვების ქვეშ და უნივერსიტეტი მაქსიმალურად მხარში უდგას სტუდენტს პუბლიკაციის შექმნისა თუ გამოქვეყნების პროცესში. ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ როდესაც მაგისტრანტი იწყებს ნაშრომზე მუშაობას, მას ჰყავს ხელმძღვანელი, ხოლო პირველ და მეორე სემესტრში პუბლიკაციის დაწერისას არა მაშინ, როდესაც თემის განსაზღვრაც კი საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს ამ დროს.

ზურაბ ზერეკიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტს ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს ენიშნება. პუბლიკაციაზე მუშაობის დროს კი დაწესებულება აძლევს იმ რჩევებს, რომლებიც გასათვალისწინებელია მასზე მუშაობაზე. ამ უკანსკნელთან დაკავშირებით ჯერ პრობლემა არ ყოფილა.

საერთაშორისო ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა (Stefan Veith) განმარტა, რომ პროგრამა ნამდვილად არ არის ბიზნეს-ადმინისტრირებისა, არამედ არის მენეჯმენტის, მაგრამ მან ამოიკითხა ერთ-ერთი მიზანი, რომელშიც ნახსენებია ისეთი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით და მან გამოკვეთა ის, რომ თუ დაწესებულებას სურს ასეთი მენეჯერების გაზრდა, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციფიკური ცოდნაც ბიზნეს-ეთიკასა და ფსიქოლოგიაში, რადგან ეს პროგრამის მიზნიდან გამომდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს როგორ მოთხოვნებს დააწესებს საკუთარი პროგრამის ფარგლებში. მისი თქმით, არცერთ პროგრამაზე არ აქვს ნანახი სამაგისტრო პროგრამაზე სტატიის გამოქვეყნება. ეს არის ძალიან რთულად შესასრულებელი პირობა სტუდენტის მიერ. შესაბამისად, კარგი იქნება ამ საკითხის კიდევ ერთხელ გადახედვა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ წინასწარ გამოქვეყნდებოდა სტატია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მეთოდები ისწავლება გვიან, სტატიის მომზადებას, სულ ცოტა, 6 თვე სჭირდება. მისი გამოქვეყნების პროცეს საშუალოდ 6 თვე. მაშასადამე, სწავლის დაწყებიდან, ყველაზე დიდი, ერთ წელში უნდა დაიწყოს სტუდენტმა სტატიაზე მუშაობა, რომ ვადებს არ გადააცილოს. მას მიაჩნია, რომ ეს ნაწილი ქრონოლოგიური თვალსაზრისით მიუღწეველი ჩანს.

ზურაბ ზერეკიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ აუცილებლად გადაიხედებოდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ მხრივ დაწესებულებაში პრობლემა არასოდეს ყოფილა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, სად იყო ჩაშენებული „ERP“-ი ან „ERM“-ი.

დაწესებულების წარმომადგენელმა „ფირმის ეკონომიკის“ არჩევით კურსებში გადატანის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეკონომიკა შეისწავლება დონეების მიხედვით. პირველ დონე არის ძირეული რგოლი - მიკროეკონომიკის საგანი, შემდეგი არის „დარგები და

ცალკეული რეგიონების ეკონომიკა“, მომდევნო - მაკროეკონომიკა და ბოლოს „მეგა ეკონომიკა“. აქედან გამომდინარე, დაწესებულება, პირველ რიგში ასწავლის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებს ეკონომიკაში. შესაბამისად, შესწავლის ობიექტი არის სახელმწიფო რესურსები, რომლებიც შემდეგ აუცილებლად უნდა განიხილონ საწარმოში, როგორც ფაქტორები. სწორედ აღნიშნული კურსი, კერძოდ, „ფირმის ეკონომიკა“ არის სავალდებულო საგანი, რადგან თანამედროვე სამრეწველო კომპლექსის მქონე თითქმის ყველა ქვეყანას ეს ფირმებად აქვს წარმოდგენილი. ამ ფირმების უსაფრთხოების შესწავლა საქართველოშიც თეორიულად უკვე დაწყებულია. მაშასადამე, ფირმის ეკონომიკის დონის შესწავლა ერთ-ერთი ამოცანაა ამ სამხედრო სამრეწველო კომპლექსის იმიტომ, რომ ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, ის არის მაღალკონცენტრირებული. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიიჩნია, რომ ფირმის ეკონომიკა უნდა დარჩეს ძირითად კურსებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა სტატისტიკური ინფორმაცია დაწესებულებას იმის შესახებ თუ სტუდენტთა რამდენმა პროცენტმა დაძლია წარმატებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პრერეკვიზიტი.
ზურაბ ზერეკიძემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულების წინა გამოშვებამ სრულად შეძლო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განაცხადა, რომ სტუდენტებთან კომუნიკაციისას არ გამოკვეთილა ამ საკითხთან მიმართებით პრობლემები. დაწესებულებას ჰქონდა საკუთარი ჟურნალი, რომელშიც სტუდენტებს მარტივად ხელეწიფებოდათ სტატიის გამოქვეყნება. ეს ჟურნალი იყო Scopus-ის ბაზაში ინდექსირებული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტატიის დაბეჭდვა უნივერსიტეტის მიერ უფასოა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს არ უნდა იყოს იმპერატიული მოთხოვნა.
ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ერთია ჟურნალი, ხოლო მეორეა რეფერირებადი ჟურნალი. მისი თქმით, რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება წელიწადნახევრიან ციკლს გადის და აკადემიური სურათის შეფასების საფუძველზე, მიუხედავად მისი დადებითი განწყობილების, სავალდებულო არ უნდა იყოს. მის გამოქვეყნებას ძალიან დიდი რესურსი და დრო სჭირდება. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ეს უნდა გაითვალისწინოს.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ არ გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია თავისუფალი კომპონენტის არჩევით ნაწილში გადატანის თაობაზე.
ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ ინსტიტუცია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით ძალიან სპეციფიკურია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თავისუფალი კრედიტები აუცილებელია, რადგან მის გარეშე პროგრამა კარგავს ხიბლს. არ შეიძლება სტუდენტს არ შეეთავაზოს არჩევანის თავისუფლება. ეს არის სტუდენტის უფლება და არჩევანი. შესაბამისად, თავისუფალი ბლოკის არ არსებობა ეწინააღმდეგება სტუდენტის საუკეთესო ინტერესებს.
ზურაბ ზერეკიძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში თავისუფალი კომპონენტის საგნები, რა თქმა უნდა, არსებობს და 119 კრედიტი ეთმობა მას. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ შეიძლება ეს ნაწილი ექსპერტების მიერ არასწორად ყოფილიყო აღქმული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:25
დასრულების დრო: 20:30

პროგრამა 1: "მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენიტს“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენიტს“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

პროგრამა 2: "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა. აცილების საფუძველი იყო დაწესებულებასთან ყოფილი თანაშრომლობა.

სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი: №155720, 15/02/2025), ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საფეხურის პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, გადაწყვეტილების სათაურში "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" ნაცვლად მითითებულია "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საბაკალავრო პროგრამა". ასევე, აღნიშნული გადაწყვეტილების დანართ N1-ში, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ქართულ ვერსიაში მითითებული კვალიფიკაცია არ ემთხვევა "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასებაში მითითებულ კვალიფიკაციას, "ისტორიის მაგისტრის" ნაცვლად უნდა იყოს "საქართველოს ისტორიის მაგისტრი".
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ან მოსაზრებები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისმინიჭების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ";
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 545164 გადაწყვეტილების დანართ №1-ში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის ველში მიეთითოს:
"საქართველოს ისტორიის მაგისტრი" / Master in History of Georgia.

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 18 თებერვლის 20:36 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ